ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სიმონ საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლის
დირექტორის ზაზა მახათაძის

ახსნა განმარტებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ ააიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სიმონ საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლის 2021 წლის წლიური დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 307.4 ათას ლარს, მათ შორის შრომის ანაზღაურება 218,1 ათას ლარს, აქედან თანამდებობრივი სარგო 206,2 ათასი ლარი და პრემია 11,9 ათასი ლარი, მივლინება 12,0 ათასი ლარი, ოფისის ხარჯი 13,1 ათასი ლარი , სხვა დანარჩენი საქპნელი და მომსახურეობა 44,6 ათასი ლარი, ლარი, ტრანსპორტის ხარჯი 1,0 ათასი ლარი, ინვენტარის შესაძენად 11,9 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივები 6,7 ათასი ლარი.

რაც შეეხება ფაქტიურ ხარჯს შეადგენს 300,7 ათას ლარს, კერძოდ: შრომის ანაზღაურებას გახარჯულია 218,1 ათასი ლარი, აქედან თანამდებობრივი სარგო 206,2 ათასი ლარი და პრემია 11,9 ათასი ლარი, ოფისის მუხლიდან გახარჯულია 13,0 ათასი ლარი, კერძოდ: კომუნალური მომსახურეობისათვის 3,2 ათასი ლარი, ჟურნალ გაზეთები 0,5 ათასი ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯი 1,9 ათასი ლარი, საკანცელარიო საქონლის შესაძენად 0,8 ათასი ლარი, სანიტარული საგნებისათვის 1,9 ათასი ლარი, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შესაძენად 0,8 ათასი ლარი, საოფისე ინვენტარისათვის 4,1 ათასი ლარი, კატრიჯების შეძენა და დატუმბვა 0,3 ათასი ლარი, მუსიკალური ინსტრუმენტისათვის 0,5 ათასი ლარი, მივლინების მუხლიდან მწვრთნელ-მასწავლებლებზე სპორტსმენების შეჯიბრზე წასაყვანად სხვადასხვა ქალაქებში 11,9 ათასი ლარი. ინვენტარის მუხლიდან გახარჯულია 11,9 ათასი ლარი, საწვავის მუხლიდან გახარჯულია 1,0 ათასი ლარი, სხვა დანარჩენ საქონელზე და მომსახურეობაზე სპორტსმენების სხვადასხვა სახის შეჯიბრში მონაწილეობისათვის გახარჯულია 43,5 ათასი ლარი და მედლებისა და სიგელების შესაძენად 0,9 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივები 6,7 ათასი ლარი

რაც შეეხება სპორტის სფეროში პრიორიტეტს წარმოადგენს ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, სპორტის სხვადასხვა სახეობების, სხვადასხვა ასაკობრივი გუნდების მომზადებას და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში, საქართველოს ჩემპიონატებში, ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობას).

ჩამოთვლილი პრიორიტეტების ფარგლებში სპორტულ სკოლაში იგეგმება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების ორგანიზება, შეჯიბრებები იმართება საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ქალაქებში, სადაც ბავშვები ყველანაირად უზრუნველყოფილნი არიან (ტრანსპორტი, კვება,ღამისთევა).

ყოველწლიურად ვახდენთ წარმატებული სპორტსმენების წახალისებას ფასიანი საჩუქრებითა და სამახსოვრო დიპლომებით.

აღსანიშნავია, რომ სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს 13 სპორტის სახეობა, სადაც წვრთნას გადის ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლე ახალგაზრდობა. პანდემიამდე სპორტულ სკოლაში ირიცხებოდა 480 ბავშვი, რაც საკმაოდ დიდი ციფრია ერთი სპორტული სკოლისათვის. პანდემიის პერიოდში მოხდა ბავშვების გადინება, რაც ბუნებრივი იყო არსებულ სიტუაციაში, მაგრამ ჩვენდა სასიხარულოდ სპორტულ სკოლაში ბავშვთა რაოდენობა კვლავ უახლოვდება მაქსიმალურ რაოდენობას.

მიუხედავად პანდემიისა, ჩვენ სპორტულ სკოლაში არცერთი დღით არ შემწყდარა სპორტული ცხოვრება, რისი ნათელი მაგალითიცაა ჩვენი სპორტსმენების ნაჩვენები შედეგები 2021 წელს, რაც ციფრებში ასე გამოიყურება:

პირველი ადგილი -27, მეორე ადგილი -20, მესამე ადგილი- 43, საერთო ჯამში 90 მედალი, რაც დამეთანხმებით პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, როცა თითქმის ყველა სფერო პარალიზებული იყო, ნაჩვენები შედეგი ნამდვილად საამაყოა.

თითოეული შედეგის განხილვა შეუძლებელია და ამიტომ მოგახსენებთ მხოლოდ იმას, რომ ამ შედეგებიდან გამომდინარე, სპორტულ სკოლას სხვადასხვა სახეობაში ჰყავს 10 საქართველოს ნაკრების წევრი, რაც საკმაოდ დიდი წარმატებაა.

ყოველივე ზემოდ აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სპორტულმა სკოლამ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მის მიერ დასახული პრიორიტეტები წარმატებით შეასრულა.